საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-08/25

ქ. ბათუმი 17 ივნისი, 2016 წ.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირი -- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე–13 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 9 ივნისის N3რ დადგენილების, ბსუ-ს 2016 წლის ბიუჯეტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს კონკურსი გამოყენებითი და ფუნდამენტური კვლევების დაფინანსების მიზნით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი პროექტების შესარჩევად.
2. თითოეული სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით წარმოდგენილი პროექტის საერთო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 40 000 ლარს, ხოლო პროექტის განხორციელების პერიოდი განისაზღვროს 2016 წლის 1 აგვისტოდან 2016 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით.
3. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ბსუ-ს დასაქმებულს ან ბსუ-ს ემერიტუსს.
4. კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით წარმოდგენილი უნდა იქნეს :

   ა) განცხადება (თანდართული ფორმის შესაბამისად შედგენილი, **დანართი №1**)

   ბ) სამეცნიერო - კვლევითი პროექტის აღწერილობა;

   გ) პროექტის ბიუჯეტი შესაბამისი კალენდარული გეგმით.

   დ) პროექტში მონაწილეთა (პერსონალის) სია და CV-ები, მათ მიერ შესასრულებელ სამუშაოთა აღწერილობა;

   ე) ცნობა ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შესახებ და სასწავლო ბარათის ასლი (პროექტში მონაწილე სტუდენტებისათვის).

   ვ) წერილობითი თანხმობა პროექტში მონაწილეობის შესახებ (თანდართული ფორმის შესაბამისად შედგენილი, **დანართი №2**)

5. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება იწარმოებს ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით 2016 წლის 20 ივნისიდან 2016 წლის 30 ივნისის ჩათვლით.
6. ბრძანების მე-4 პუნქტით განსაზღვრული სავალდებულო დოკუმენტაცია (გარდა „ა“ და „დ“ ქვეპუნქტისა) წარმოდგენილი უნდა იქნეს დალუქული კონვერტით.
7. პროექტის ძირითადი პერსონალი შეიძლება იყოს მხოლოდ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში დასაქმებული დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პერსონალი, ასევე ემერიტუსი და სამაგისტრო/სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები. პროექტის დამხმარე პერსონალი შეიძლება იყოს უნივერსიტეტში დასაქმებული სხვა პირები.
8. თითოეულ პროექტში სავალდებულოა უნივერსიტეტის სტუდენტის ჩართულობა. ამასთან, ინტერდისციპლინური სამეცნიერო–კვლევითი პროექტებისათვის სავალდებულოა პროექტში მონაწილე თითოეული ფაკულტეტიდან არანაკლებ 1 (ერთი) სტუდენტის და არანაკლებ 1 (ერთი) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირის ჩართულობა.
9. ერთი და იგივე პირი (პერსონალი, ემერიტუსი ან სტუდენტი) არ შეიძლება ერთდროულად მონაწილეობდეს უნივერსიტეტის რამდენიმე მიზნობრივ პროექტში. იმ შემთხვევაში, თუკი კონკურსის ეტაპზე წარმოდგენილი იქნება ამ პირის სხვადასხვა პროექტში ჩართვის თაობაზე თანხმობა და საბოლოოდ იგი აღმოჩნდება ერთზე მეტი გამარჯვებული პროექტის მონაწილე, მისივე განცხადებით (წარმოდგენილი უნივერსიტეტის რექტორის სახელზე) განისაზღვრება ის ერთი პროექტი, რომელშიც მონაწილეობას იგი მიანიჭებს უპირატესობას.
10. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს სტრუქტურულ ერთეულებს და განთავსდეს ვებგვერდზე.
11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,

ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**

დანართი №1

უნივერსიტეტის რექტორს

_____

(მიუთითეთ უნივერსიტეტში დაკავებული თანამდებობა)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

წარმოგიდგენთ ---------- დარგობრივი მიმართულებით მიზნობრივ სამეცნიერო-კვლევით პროექტს დაფინანსების მოპოვების მიზნით---------- გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

განცხადებას თან ერთვის:

1. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის აღწერილობა – – გვ.
2. პროექტის ბიუჯეტი შესაბამისი კალენდარული გეგმით.
3. პროექტში მონაწილეთა (პერსონალის) სია და CV-ები, მათ მიერ შესასრულებელ სამუშაოთა აღწერილობა;
4. პროექტში მონაწილე სტუდენტთა ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ და სასწავლო ბარათის ასლები (გაცემული შესაბამისი ფაკულტეტის მიერ) – – გვ.
5. პერსონალის წერილობითი თანხმობა პროექტში მონაწილეობის შესახებ--
6. სტუდენტთა წერილობითი თანხმობა პროექტში მონაწილეობის შესახებ – – გვ.

პატივისცემით,

_____

(ხელმოწერა)

ტელეფონის ნომერი: _____

თარიღი: – –/ – –/2016 წ.

დანართი №2

უნივერსიტეტის რექტორს

_____

(მიუთითეთ უნივერსიტეტში დაკავებული თანამდებობა)

თანხმობის წერილი

თანახმა ვარ მონაწილეობა მივიღო ---------- დარგობრივი მიმართულებით მიზნობრივ სამეცნიერო-კვლევაში, რომელიც წარმოდგენილია _____ ხელმძღვანელობით.

_____

(ხელმოწერა)

ტელეფონის ნომერი: _____

თარიღი: – –/ – –/2016 წ.